

ევროპის პარლამენტის 2009 წლის 2 აპრილის რეკომენდაცია ევროკავშირი-რუსეთის საბჭოს ახალი ხელშეკრულების შესახებ (2008/2104(INI))

ევროპის პარლამენტი,

(...)

E. ვინაიდან რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთში შესული ქართული ჯარების წინააღმდეგ გამოყენებული არაპროპორციული კონტრშეტევა, რომელიც საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც გავრცელდა ჯავშანტექნიკისა და საჰაერო ძალების გამოყენებით, ასევე არაპროვოცირებული სამხედრო მოქმედებები აფხაზეთში, საზღვაო პორტებზე შეტევა და მათი ოკუპაცია, რასაც მოჰყვა ორი გამოყოფილი ანკლავის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება, ეჭვქვეშ აყენებს რუსეთის მზადყოფნას ევროკავშირთან ერთად ევროპაში ერთიანი მშვიდობიანი სივრცის მშენებლობისთვის; ვინაიდან ევროკავშირის რუსეთთან შემდგომი პარტნიორობისთვის საჭიროა უსაფრთხოების საკითხებზე დიალოგი, რომელიც დაფუძნებული იქნება ორივე პარტნიორის მხრიდან ზიარი ღირებულებების დაცვაზე, საერთაშორისო სამართლისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე და ჰელსინკის პაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

F. ვინაიდან მოლაპარაკებები ახალი ხელშეკრულების ირგვლივ, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას, არანაირად არ ახდენს საქართველოს დღევანდელი სტატუს კვოს ლეგიტიმაციას, ხოლო კვლავ ძალაში რჩება რუსეთის ფედერაციის ვალდებულება სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის ხელშეკრულებები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების შესახებ, რადგან მის მიერ ამ ხელშეკრულებების შესრულება უნდა გახდეს სინე ქუა ნონ (აუცილებელი პირობა, მთარგმნელის შენიშვნა) მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისთვის, და უნდა მოიცავდეს ყველა მხარის მიერ მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე უარის თქმას;

(...)

ბ) მტკიცედ აცხადებს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ და მისმა მონაწილეობამ გაზთან დაკავშირებულ 2009 წლის დავაში, სერიოზული ზიანი მიაყენა ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებს და მოლაპარაკებებს ახალი ხელშეკრულების შესახებ;

ც) მტკიცედ აცხადებს, რომ ევროკავშირის რუსეთთან ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სამართლის პატივისცემას და ყველა იმ ხელშეკრულებისა თუ პაქტის დაცვას, რომელთა მიმართ რუსეთმა და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთგულება გამოხატეს, გაეროს წესდების და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ჩათვლით, ასევე იმ წესებისა და ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც ეუთოსა და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის მოქმედებს;

(...)

ზ) მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას შეასრულოს მისი ვალდებულება საქართველოსთან და ევროკავშირთან ერთად “აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის” კონსტრუქციული და მშვიდობიანი გზით მიღწევის შესახებ, როგორც ეს 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებაშია ნათქვამი; მოუწოდებს რუსეთის მთავრობას მოახდინოს საიმედო დემონსტრირება პირობისა, რომ იგი არ გამოიყენებს ძალას მისი რომელიმე მეზობლის წინააღმდეგ;

(...)

ზ) ადგენს ევროკავშირს, რუსეთსა და საერთო მეზობელ სახელმწიფოებს შორის ქცევის კოდექსს, ევროპის ყველა სახელმწიფოს სუვერენული დამოუკიდებლობის პატივისცემის ჩათვლით, ასევე ხაზგასმით მიუთითებს გაყინული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისაკენ;

(...)

აა) შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის მთავრობის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, ასევე საქართველოს ამ ორი პროვინციის დე ფაქტო ხელისუფლებასთან სამხედრო დახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების ხელმოწერისა და იქ სამხედრო ბაზების მშენებლობის გამო, რამეთუ ასეთი ნაბიჯები ძირს უთხრის საქართველოს

ტერიტორიულ მთლიანობას, რომლის დაცვასაც გაეროს მრავალი რეზოლუცია მოითხოვს; კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთს გააუქმოს მისი გადაწყვეტილება და გაიაზროს, რომ რუსეთის ვერ იქნება მიუკერძოებელი მოდერატორი სამშვიდობო პროცესებში; სთხოვს რუსეთის მთავრობას უზრუნველყოს ევროკავშირის მონიტორთა სრული ხელმისაწვდომობა კონფლიქტით დაზარალებულ მთელ ტერიტორიაზე, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატის შესაბამისად;

(...)

2009 წლის 2 აპრილი.

<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.>